ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

2024 წლის 9 თვის ანგარიში

სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური (30 05)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მომსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ-საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 600	5 785	4 690,33	81%	316,80

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით, განხორციელდა ბენეფიცართა (სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების

შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობლობის მქონე პირთა სამედიცინო შემოწმება: კერძოდ: ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 38 713 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია - 694 პაციენტს; ჩატარდა 9 297 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 2 212 პროცედურა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 6 298 პროცედურა; რენტგენოლოგიის კაბინეტში 7 264 პროცედურა; ჩატარდა 51 776 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 389 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 600 სამკურნალო პროცედურა; ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 3 905 პირმა, 728 წვევამდელმა და 122 სამოქალაქო პირმა.

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72-ში მდებარე სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.